შპს „ჯითი ჯგუფი“

individualuri

Ffinansuri angariSgeba
31 დეკემბერი 2019 წელი

ქ.თბილისი
2020

შპს " ჯითი ჯგუფი"

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ----------3

მოძრაობის საქმიანობის შედეგები----------4

ფულადი ნაკადებისანგარიშგება----------5

განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია

..... შენიშვნა 2. ანგარიშგების

მომზადების საფუძველი ..... შენიშვნა 3.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა .....

შენიშვნა 4. ხარჯები და სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი

..... შენიშვნა 5. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული

მოგება/ზარალი..... შენიშვნა 6. ძირითადი საშუალებები

..... შენიშვნა 7. არამატერიალური

აქტივები ..... შენიშვნა 8. ფული და

ფულის ექვივალენტები ..... შენიშვნა 9.

მარაგი .....

შენიშვნა 10 საბანკო სესხები

..... შენიშვნა 11. სავაჭრო

და სსვა ვალდებულებები..... შენიშვნა 12.

საკუთარი კაპიტალი .....

შენიშვნა 13. დაკავშირებული

მხარეები..... შენიშვნა 14.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები .....

ხელმძღვანელობის სახელით:

.....

მიხეილ ქართველიშვილი — დირექტორი

2020 წლის 30 სექტემბერი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სულ აქტივები	2828500	1189603	673005
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	436376	63847	463565
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	0	41127	18568
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	0	0	82000
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	1108423	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	0	0	0
სულ ვალდებულებები	1544799	104974	564133
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	0	0	0
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	1283701	1084629	108872
გადაფასების რეზერვი	0	0	0
სხვა რეზერვები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	1283701	1084629	108872
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2828500	1189603	673005

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	**2019**	**2018**
ნეტო ამონაგები	3691590	2642507
საქონლის გაყიდვიდან	3691590	2642507
მომსახურების გაწევიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0

ხელმძღვანელობის სახელით:

.....

მიხეილ ქართველიშვილი — დირექტორი

2020 წლის **30** სექტემბერი

შპს "ჯითი ჯგუფი" * GT GROUP LLC * GEORGIA 404518777

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შენიშვნა 15. ფინანსური ანგარიშგების

ავტორიზაცია.....

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2019	31/12/2018	01/01/2018
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	29357	60	4357
სავაჭრო მოთხოვნები	909401	280521	167689
გადახდილი ავანსები	46565	0	0
მარაგები	1019106	873939	481016
სხვა	0	0	0
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მიმდინარე აქტივები	0	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	824071	35083	19943
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0

ხელმძღვანელობის სახელით:

.....

მიხეილ ქართველიშვილი — დირექტორი

2020 წლის **30** სექტემბერი

"GT GROUP" LLC * GT * 404518777 * საქართველო GEORGIA

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-3142311	-1566672
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	549279	1075835
სხვა შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-160753	-42029
ცვეთა და ამორტიზაცია	-35646	0
საპროცენტო შემოსავალი:	0	0
საპროცენტო ხარჯი :	-36380	0
იჯარის ხარჯი	-40246	-21807
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-120899	-64713
სულ საოპერაციო ხარჯები	-393924	-128549
საოპერაციო მოგება	155355	947286
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები	0	0
მარაგები	0	0
სხვა არაფინანსური აქტივები	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	0	24112
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	43717	4359
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	199072	975757
მოგების გადასახადი	0	0
მოგება/(ზარალი)	199072	975757
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	199072	975757

ხელმძღვანელობის სახელით:

.....

მიხეილ ქართველიშვილი — დირექტორი

2020 წლის 30 სექტემბერი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	1084629	108872
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1283701	1084629

<u>ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება</u>

ფულადი სახსრების მოძრაობა	**2019**	**2018**
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-290138	10843
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-788988	-15140
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	1108423	0
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	29297	-4297
სავალუტო კურსის ეფექტი	0	0
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	60	4357
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	29357	60

განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ჯითი ჯგუფი“ (შემდგომში „კომპანია“) რეგისტრირებულია 2016 წლის 29 აგვისტოს და მდებარეობს საქართველოში. იგი წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის

ხელმძღვანელობის სახელით:

.....

მიხეილ ქართველიშვილი — დირექტორი

2020 წლის 30 სექტემბერი

საზოგადოებას და დაარსებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის ფაქტობრივი მისამართია: ქ. თბილისი ქსნის ქ. 36
კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს **საბითუმო ვაჭრობა რკინა-კავეულით, წყალგაყვანილობის და გასათბობი მოწყობილობებით და ინვენტარით**
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია მიხეილ ქართველიშვილი, საქართველოს მოქალაქე.

შენიშვნა 2. ანგარიშგების მომზადების საფუძველი
განცხადება შესაბამისობაზე

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს) შესაბამისად. მსს ფასს სტანდარტზე გადასვლამდე, ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანიას არ მოეთხოვებოდა ფინანსური ანგარიშგების მომზადება. კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა ემყარებოდა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობას.

შენიშვნა 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია ქვემოთ არის წარმოდგენილი. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა (იქნება) გამოყენებული ყველა პერიოდის მიმართ, თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.
ფინანსური ანგარიშგების მომზადება მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული შეფასებების გამოყენებას და მენეჯმენტის მხრიდან მსჯელობას კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. საკითხები, რომლებშიც ასახულია ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები აგრეთვე საჭიროებენ მაღალი დონის მსჯელობას და კომპლექსურ მიდგომებს.
სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

ხელმძღვანელობის სახელით:

.....

მიხეილ ქართველიშვილი — დირექტორი

2020 წლის 30 სექტემბერი

"GT GROUP" GT 245181 საქართველო • GEORGIA

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში. ყოველგვარი ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია ერთეულამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავდაპირველად აღირიცხება ლარში, რომლის კონვერტაციაც ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული სპოტ გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისათვის ლარის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში. უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსებია: საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი:

	აშშ დოლარი
2018წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766
2019წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან (მომსახურების გაწევიდან) აღიარდება მაშინ, როცა მყიდველს საქონელი (მომსახურება) მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლები ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულების ოდენობით. გაყიდვები ნაჩვენებია დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აღიარდება, როდესაც კომპანია ამ ინსტრუმენტების ხელშეკრულების მხარე ხდება. თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტები ფასდება გარიგების ფასით.
კომპანიის ძირითად ფინანსურ აქტივებს წარმოადგენს ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება.
ფინანსური ვალდებულებები (ნასესხები თანხები, სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები) შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, საბაზრო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ფული და ფულის ექვივალენტები
ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.
სავაჭრო მოთხოვნები

ხელმძღვანელობის სახელით:

.....

მიხეილ ქართველიშვილი — დირექტორი

2020 წლის **30** სექტემბერი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

რეალიზაცია, ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. თვითღირებულება გაიანგარიშება „საშუალო შეწონილი ღირებულების" მეთოდით.
მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ღირებულებას, საიმპორტო, საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანომ კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის და უშუალოდ მარაგების შეძენასთან დაკავშირებულ სხვა დანახარჯებს. სავაჭრო ფასდაკლება და სხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა კლასისათვის. პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარებულია ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯში. ქვემოთ წარმოდგენილია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

• შენობა-ნაგებობები	80 წელი
• კომპიუტერები და კომპიუტერული ტექნიკა	5 წელი
• ოფისის აღჭურვილობა	5 წელი
• კავშირგაბმულობის საშუალებები	5 წელი
• სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს ცალკე შეძენილ ლიცენზიებს (კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა). არამატერიალური აქტივის ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. შეფასებული

ხელმძღვანელობის სახელით:

.....

მიხეილ ქართველიშვილი დირექტორი

2020 წლის 30 სექტემბერი

მომსახურების ვადა და ამორტიზაციის დარიცხვის მეთოდი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაისინჯება, ხოლო შეფასების ცვლილების ნებისმიერი გავლენა პერსპექტიულად აისახება.
არამატერიალური აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადაა 5 წელი.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის უნდა ჩატარდეს ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ინდიკატორი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს აქტივების შესაძლო გაუფასურების ნიშნები, მაშინ უნდა შეფასდეს ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდეს მის საბალანსო ღირებულებას. იმ შემთხვევაში, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.
ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური მარაგის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური მარაგის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.
იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა (კომპენსირება), აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური მარაგების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტებს არ ითვალისწინებს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ხელმძღვანელობის სახელით:

.....

მიხეილ ქართველიშვილი — დირექტორი

2020 წლის 30 სექტემბერი

საბანკო სესხები და ოვერდრაფტები

სესხები თავდაპირველად საოპერაციო ფასით აისახება (ანუ კრედიტორისათვის გადასახდელი თანხის ახლანდელი ღირებულება, საოპერაციო ხარჯების ჩათვლით). საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე და აისახება ფინანსურ ხარჯებში. სესხები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუკი კომპანიას არ გააჩნია უპირობო უფლება აღნიშნული ვალდებულების გასტუმრების გადავადების შესახებ, ანგარიშგების თარიღიდან არანაკლებ 12 თვის ვადით.

დივიდენდის განაწილება

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც შემდგომი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნებში.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. 2016 წლის 13 მაისს შეტანილ იქნა ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში. შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა (მათ შორისაა: კომერციული ბანკები, ლომბარდები, სადაზღვევო და საკრედიტო ორგანიზაციები) , ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან (ე.წ. "ესტონური", მოდელი).
ახალი მოდელით განისაზღვრა კომპანიის მოგების გადასახადის აღიარებისა და განსაზღვრის პრინციპები. ეს ცვლილებები შეეხო კომპანიის მიერ გადავადებული მოგების გადასახადის აქტივებს და ვალდებულებებს. კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით. დივიდენდების გადახდის შემთხვევაში გამოიყენება 15%-იანი მოგების გადასახადი. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც იმ პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი, როდესაც ხდება დივიდენდების გაცემა (მიუხედავად იმისა, თუ რომელი პერიოდის დივიდენდის გაცემა ხდება). მოგების გადასახადი გადახდილ უნდა იქნეს დივიდენდის ფიზიკურ პირზე, ან არარეზიდენტ იურიდიულ პირზე გაცემის მომენტში, იმისდა მიუხედავად, ეს განაცემი ფულადი თუ არაფულადი სახით არის შესრულებული.
აღნიშნული საგადასახადო ცვლილების მიხედვით, დივიდენდების განაწილებასთან ერთად, მოგების გადასახადით ასევე იბეგრება (მოგების განაწილებად ითვლება) ისეთი ხარჯების

ხელმძღვანელობის სახელით:

.....

მიხეილ ქართველიშვილი — დირექტორი

2020 წლის **30** სექტემბერი

გაწევა, რაც ეკონომიკურ საქმიანობასთან არ არის დაკავშირებული (ხარჯი რომელიც არ განიხილება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულად; მომსახურების ან აქტივების უსასყიდლო მიწოდება; წარმომადგენლობითი ხარჯი, რომელიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობას). ისეთი გადასახადები, სხვა გადასახადების მსგავსად, რომლებიც უკან დაბრუნებას (ჩათვლას) აღარ ექვემდებარება, კომპანიის მიერ აისახება "სხვა საოპერაციო ხარჯებში" და არ მიეკუთვნება საანგარიშგებო მუხლს - "მოგების გადასახადი". წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები, ბიულეტენები, პრემიები და არაფულადი სარგებლები კომპანიის მიერ ექვემდებარება დარიცხვას იმავე პერიოდში, რომელშიც კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული. არსებითობის პრინციპიდან გამომდინარე, კომპანიის მიერ არ ხდება გამოუყენებელი შვებულების ანარიცხების აღრიცხვა ფინანსურ ანგარიშგებაში (არაარსებითობის გამო).

ფინანსური ანგარიშგებების შესწორება გამოცემის შემდეგ

ნებისმიერი ცვლილების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში, მისი გამოცემის შემდეგ, დამტკიცებას ექვემდებარება კომპანიის იმავე მენეჯმენტის მიერ, რომლის მიერაც მოხდა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების ავტორიზაცია გამოცემის მიზნით.

შენიშვნა 4. ხარჯები

კომპანიაში ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხარჯები მოიცავს:

	31.12.2019
შრომის ანაზღაურება	160753
ცვეთა და ამორტიზაცია	35646
საპროცენტო ხარჯი	36381
საიჯარო ქირა	40246

ხელმძღვანელობის სახელით:

.....

მიხეილ ქართველიშვილი — დირექტორი

2020 წლის **30** სექტემბერი

"GT GEORGIA" LLC — 404518777

რეკლამის ხარჯები	991
სამეურნეო ხარჯი	16036
მივლინების ხარჯები	11187
კომუნალური ხარჯები	982
ბანკის მომსახურება	12697
კომუნიკაციის ხარჯები	2374
საწვავის ხარჯი	46453
წარმომადგენლობითი ხარჯები	2591
საკანცელარიო და კომპიუტერის ხარჯები	881
სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	23493
სულ	390711

სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი /ხარჯი

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31.12.2019
შემოსავალი იჯარიდან	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	
სულ	

შენიშვნა 5. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი

	31.12.2019
მოგება კურსთაშორის სხვაობიდან	105840
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	(62124)
სულ	43716

ხელმძღვანელობის სახელით:

.....

მიხეილ ქართველიშვილი დირექტორი

2020 წლის **30** სექტემბერი

"GT GROUP" LLC * GEORGIA * GT

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შენიშვნა 6. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა და კომპიუტერული ტექნიკა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
წმინდა საბალანსო ღირებულება 01.01.2019					35083	
	801109		5123		18403	
შემოსვლა						
გასვლა						
პერიოდის ცვეთა	28269		239		7138	
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2019	772840		4884		46348	

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების გაუფასურების ნიშნები არ დადგენილა.

შენიშვნა 7. არამატერიალური აქტივები

წმინდა საბალანსო ღირებულება 01.01,.018

პერიოდის ცვეთა

წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2018

შენიშვნა 8. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31.12.2019	31.12.2018
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	0	0
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	29356	60

ხელმძღვანელობის სახელით:

.....

მიხეილ ქართველიშვილი — დირექტორი

2020 წლის **30** სექტემბერი

უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში

	29356	60

შენიშვნა 9. მარაგი

მარაგი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31.12.2019	31.12.2018
საქონელი	1019106	873939
სულ	1019106	873939

შენიშვნა 10. საბანკო სესხები

კომპანიის მიერ, სს თიბისი ბანკისაგან 2019 წლის 31 მაისს აღებული აქვს 360000 ევრო ძირითადი საშუალებების შესაძენად უზრუნველყოფილი ფიქსირებულგანაკვეთიანი სესხი წლიური საპროცენტო განაკვეთია 5,5% დაფარვის თარიღი 05,09,2029
2019 წლის 31 ივლისს 70000 (აშშ დოლარი) და 7% (აშშ დოლარი). რომელიც დაფარულია 05,12,2019 წელს.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით თიბისი ბანკის სესხის მონაცემები:

	31.12.2019	31.12.2018
გადახდილი თანხა	854,045	866,044

ბანკის საპროცენტო ხარჯი იმავე პერიოდის ფინანსურ ხარჯად საბაზრო აღიარდება განაკვეთის გამოყენებით.

შენიშვნა 11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2019	31.12.2018
სავაჭრო ვალდებულებები	436376	63846

ხელმძღვანელობის სახელით:

.....

.....

მიხეილ ქართველიშვილი დირექტორი

2020 წლის **30** სექტემბერი

"GT GROUP" LLC 404518777 GEORGIA

ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ

საგადასახადო ვალდებულებები	(46565)	41127
სულ	389811	104973

შენიშვნა 12. საკუთარი კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს ნომინალურ კაპიტალს, რომელიც განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 0 ლარს.

დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, გასანაწილებელი მოგების ოდენობა შეზღუდულია გაუნაწილებელი მოგების თანხით, რომელიც დაფიქსირებულია კომპანიის ფინანსურ ანგარიშებში.

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	გადაფასების რეზერვი	სულ კაპიტალი
ნაშთი 01.01.2018		1084629		
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება				
მიმდინარე წლის მოგება/(ზარალი)		252706		
გადახდილი დივიდენდი	-	0		
ნაშთი 31.12.2018		1337335		

ხელმძღვანელობის სახელით:

.....

მიხეილ ქართველიშვილი — დირექტორი

2020 წლის 30 სექტემბერი

შენიშვნა 13. დაკავშირებული მხარეები

ტრანზაქციები უმაღლესი რანგის ხელმძღვანელთან:

	31.12.2019	31.12.2018
ანაზღაურების მთლიანი თანხა	53571	36875
	53571	36875

შენიშვნა 14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.
საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა.

შენიშვნა 15. ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაცია

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 30 სექტემბერს.

ხელმძღვანელობის სახელით:

.....

მიხეილ ქართველიშვილი — დირექტორი

2020 წლის **30** სექტემბერი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.